# საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№6 პერიოდული გამოცემა 2015 წ. ივნისი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით


## 1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

ივნისში ჩვენი ოფისისთვის და ზოგადად ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები გავმართეთ ბრიუსელში. ნატოს, ევროპარლამენტის, ევროკომისიის სხვადასხვა სტრუქტურებში, ღია საზოგადოება — ბრიუსელის ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტის ოფისებში საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე, კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ საფრთხეებსა და უამრავ სხვა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის მტკივნეულ და მნიშვნელოვან საკითხზე ვისაუბრეთ.

სასიამოვნოა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის მქონე სტრუქტურებში დადებითად აფასებენ სახალხო დამცველის აპარატის ძალისხმევას სტიგმისგან, შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციისაგან თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის საქმეში.

სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად არის ჩართული იმ მნიშვნელოვანი მოვლენების განვითარებაში, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ახდენს გავლენას, ატარებს ამ პროცესების მონიტორინგს და ინტენსიურად მუშაობს სახელმწიფო, თუ საერთაშორისო სტრუქტურებთან, საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით.

ბრიუსელში ქართულ დიასპორასაც შევხვდი და

### შინაარსი:


1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი თემა 2
3. სახალხო დამცველის წინადადება საქართველოს პარლამენტს 4
4. წარმატებული საქმეები 4
5. გასული თვის მოვლენები 5
6. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა 11
7. მნიშვნელოვანი თარიღები 14
8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 15
9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 17
10. კონტაქტი 17

მათი ცხოვრების პირობების შესახებ შევიტყვე. შეხვედრამ თავისუფალ, სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაიარა. პრობლემებზეც ვისაუბრეთ, მათ შორის ორმაგი მოქალაქეობის მიღების გაჭიანურებულ პროცედურებზე, მოქალაქეობის დაკარგვის შედეგად საკუთრების უფლების შეზღუდვასა და მიწის რეგისტრაციის საკითხებზე, დეპორტაციისას ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებზეც. ვიმედოვნებ, საქართველოს ხელისუფლება გაითვალისწინებს ამ ადამიანთა საჭიროებებს და გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს მათი პრობლემების მოსაგვარებლად.

ივნისში რამდენიმე ანგარიშის პრეზენტაცია გვქონდა. მათ შორის, 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში წარვუდგინე დიპლომატიური კორპუსის, სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ასევე, ანგარიშები კონფლიქტებით დაზარალებულთა და დევნილთა უფლებების შესახებ; სპეციალური ანგარიშები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ, გენდერული თანასწორობის, ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების მონიტორინგის შესახებ. წარმოვადგინეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ანგარიში და ყოველკვარტალური ბიულეტენის პირველი ნომერი.

არ შემიძლია გვერდი ავუარო ოქროპირიძის საქმეს, როდესაც, საქართველოს პროკურატურამ სახალხო დამცველისთვის მიმართვისთვის ბრალდებულის მიმართ სისხლი სამართლის საქმე აღძრა ცრუ დასმენის მუხლით. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მსგავსი პრეცედენტი ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს, არა მხოლოდ გიორგი ოქროპირიძის მიმართ წაყენებულ ბრალთან დაკავშირებით, არამედ არსებითად აყენებს ეჭვქვეშ ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე სახელმწიფოს მიერ არაერთგზის ნაკისრი - წამების წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებას. მსგავსი პრეცედენტის შექმნა შეიცავს რისკს, დამკვიდრდეს პრაქტიკა, რომელიც გასაჩივრების სურვილს მოუსპობს პატიმარს, რათა მისი საჩივარი არ გახდეს საფუძველი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ცრუ დასმენის საფუძვლით ბრალის წასაყენებლად. საქართველოს პროკურატურამ, ისევე როგორც ნებისმიერმა სხვა ინსტიტუტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელ უმაღლეს კონსტიტუციურ ინსტიტუტს — საქართველოს სახალხო დამცველს და არ გამოიყენოს ამ ორგანოს მიერ მისი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებები კონკრეტულ პირთა მიმართ უფლებების დარღვევის საფუძვლად.

მინდა იმ დიდ ტრაგედიასაც შევეხო, რომელიც ივნისის თვეში თავს დაატყდა ჩვენს დედაქალაქს. ათეულობით ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე უგზო—უკვლოდ დაიკარგა, ასობით უსახლკაროდ დარჩა. ფაქტიურად განადგურდა ზოოპარკი და უდიდესი ზარალი მიადგა ქალაქის ინფრასტრუქტურას. ვიზიარებ გარდაცვლილთა და დაკარგულთა ოჯახის წევრებისა და ახლობლების მწუხარებას.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისფლების გარკვეული, პასუხისმგებელი უწყებები მზად არ აღმოჩნდნენ სტიქიური უბედურების დასაძლევად. ვერ მოხერხდა სტიქიის პროგნოზირება და სავარაუდო შედეგების გათვლა, მოსახლეობის სწრაფი ევაკუაციის ორგანიზება, სატრანსპორტო მაგისტრალის გადაკეტვა. ასევე, არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას აუცილებელია გარემოზე ზედამხედველობის შეფასების საკითხების გათვალისწინება. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა სტიქიის შედეგების აღმოფხვრაში ახალგაზრდა მოხალისეების ჩართულობას და მათ მიერ ნაჩვენებ სამაგალითო სოლიდარობას.

ივნისში ასევე ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რომელთა შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას ბიულეტენში იხილავთ.

## 2. მთავარი თემა

### 2.1. სახალხო დამცველის ოფიციალური შეხვედრები ბრიუსელში

**8—12 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველი ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში იმყოფებოდა, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა.

**9 ივნისს** უჩა ნანუაშვილი **ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაის შეხვდა** და საქართველოში არსებული ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით მიმდინარე პროცესებზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე, ანტიდისკრიმინაციული კანონმდე-

ბლობის იმპლემენტაციაზე, მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი უწყებების სისტემურ რეფორმებზე ისაუბრა. განიხილა ასევე, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საჭიროება.

ჯეიმს აპატურაიმ დადებითად შეაფასა ჩვენი ქვეყნის წინსვლა ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა აღნიშნა რომ კვლავ რჩება გარკვეული გამოწვევები. „სახალხო დამცველს გადავეცით, რომ მისი ინსტიტუტის მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყოველწლიური შეფასების დროს დიდ ყურადღებას ვუთმობთ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ არსებულ ვითარებას. მე მის მიერ მომზადებულ ანგარიშებს ვეყრდნობი. სახალხო დამცველმა წარმოგვიდგინა რეფორმების გეგმა, რომელთა განხორციელებაც საქართველოსთვის ღირებული იქნება და ქვეყანას უფრო დააახლოებს ევროპულ სტანდარტებთან. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ნატოსთვის არამედ საქართველოს მოსახლეობისთვისაც“, — განაცხადა სახალხო დამცველთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჯეიმს აპატურაიმ.

ჯეიმს აპატურაი და უჩა ნანუაშვილი

სახალხო დამცველმა ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის მიზნით ომბუდსმენის აპარატში მიმდინარე პროექტებისა და გეგმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

**8-9 ივნისს** სახალხო დამცველმა მონაწილეობა მიიღო **ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე პირებთან გამართულ მრგვალ მაგიდაში;** ასევე შეხვედრები გამართა ევროკომისიის საქართველო—ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის თანათავმჯდომარე გუნარ ვიგანდთან და პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილესთან იაპ ვინენთან.

მრგვალი მაგიდა ევროპარლამენტში

შეხვედრებზე უჩა ნანუაშვილმა საქართველოში ზოგადად ისაუბრა 2014 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობაზე, მიმოიხილა მართლმსაჯულების კუთხით არსებული ვითარება და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის საკითხი; ასევე სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობლემები, მათ შორის არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების დროული და ეფექტური გამოძიება.

პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილესთან შეხვედრისას ომბუდსმენმა ხაზი გაუსვა ქვეყანაში რეალური ფუნქციებით აღჭურვილი შრომის ინსპექციის დაჩქარებულ ტემპებში ჩამოყალიბების აუცილებლობას.

ევროპული სტრუქტურების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს სახალხო დამცველის საქმიანობა კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

შეხვედრა ბელგიაში მცხოვრებ ქართველებთან

**10 ივნისს** უჩა ნანუაშვილმა **ბრიუსელში ქართული დიასპორის წარმომადგენლები მოინახულა.** სახალხო დამცველმა უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ჩვენს ქვეყანაში

ადამიანის უფლებების დაცვის კითხით არსებული მდგომარეობა გააცნო და მათი პრობლემები მოისმინა. შეხვედრაზე განსაკუთრებულად გაუსვეს ხაზი ემიგრანტთა უფლებების დასაცავად საქართველოს სახალხო დამცველთან ურთიერთობის გაძლიერების შესაძლებლობას.

როგორც შეხვედრაზე გამოიკვეთა, უცხოეთში მცხოვრები ქართველების ერთ—ერთ მთავარ პრობლემას სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა წარმოადგენს, ხოლო ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების პროცედურები, რომლის გავლასაც საქართველოს შესაბამისი უწყებები ითხოვენ, ხელოვნურად ართულებს ორმაგი მოქალაქეობის მიღების საკითხს.

მწვავედ დგას ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის საკითხი; ხშირია არალეგალურ პირთა სამშობლოში დაბრუნება (დეპორტაცია), რაც ზოგჯერ უფლებების შელახვით მიმდინარეობს.

**12 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველი **ღია საზოგადოება ბრიუსელის ევროპული პოლიტიკის ოფისში 20—მდე ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა.** სახალხო დამცველმა არასამთავრობო სექტორს 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში და მასში ასახული მიმართულებები გააცნო, რომელიც სრულად მოიცავს საქართველოში ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას.

შეხვედრა ღია საზოგადოება ბრიუსელის ევროპული პოლიტიკის ოფისში

განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია საპატიმრო დაწესებულებებში არსებულმა ვითარებამ, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობამ, გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულმა გამოწვევებმა, ბავშვთა უფლებრივმა მდგომარეობამ და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მიღებული კანონის იმპლემენტაციის საკითხმა. შეხვედრა 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა.

## 3. სახალხო დამცველის წინადადება საქართველოს პარლამენტს

### საქართველოს სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადება გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის

**1 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა ტელემაუწყებლობაში დამკვიდრებული სექსისტური რეკლამების თაობაზე კანონმდებლობაში დეფინიციის განსაზღვრისა და მაუწყებლობის შესახებ კანონში შესაბამისი სანქცირების სისტემის შემოღების შესახებ საკანონმდებლო წინადადებებით მიმართა საქართველოს პარლამენტს.

მედიაში გამოყენებული სექსისტური სტერეოტიპების გავლენა საზოგადოებრივ და განსაკუთრებით ახალგაზრდების აზრის ფორმირებაზე სავალალოა, ეს სტერეოტიპები ამკვიდრებენ ქალისა და კაცის მარტივ, უცვლელ, კარიკატურულ იმიჯს, ამართლებენ ყოველდღიურ სექსიზმს და დისკრიმინაციულ პრაქტიკას და შეუძლიათ გააადვილონ ან გაამართლონ გენდერული ნიშნით ძალადობა.

## 4. წარმატებული საქმეები

### 4.1. სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე მოქალაქეს დაზიანებული სახლის შესაკეთებლად თანხა გამოუყვეს

**18 ივნისს,** სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან არსებული „ეკონომიკურად გაჭირვებული მოქალაქეების დახმარების გაწევის“ კომისიამ განიხილა მოქალაქე ლ.ა.—ს განცხადება და საცხოვრებელი სახლის შესაკეთებელი სამშენებლო მასალების შესაძენად ათასი ლარი გამოუყო.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი მოქალაქე ლ.ა. თავის მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს დაზიანებულ სახლში, რომელსაც არ გააჩნდა ფანჯრები, და იატაკი. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატის რეგიონულმა სამმართველომ **11 ივნისს** წერილით მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას და ლ.ა.—ს მდგომარეობის შესწავლა და ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში მისთვის დახმარების

გაწევა მოითხოვა.

### 4.2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა სახალხო დამცველის წინადადებებს მხარი დაუჭირა

**30 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს საკანონმდებლო წინადადებები. კომიტეტის წევრებმა დამაზუსტებელი კითხვები დაუსვეს მომხსენებელს — გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსს ეკატერინე სხილაძეს. სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ წინადადებებს კომიტეტის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი წინადადების შესრულება კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება გენდერული თანასწორობის სფეროში არსებული კანონმდებლობის სრულყოფისაკენ.

სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მიმდინარე წლის 25 მაისს წინადადებებით მიმართა, რომლებიც მოიცავდა **მარტოხელა მშობლის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლების შესწორებას** **და** **ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციას.**

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოქმედი რედაქციით, მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების ერთ—ერთი საფუძველია პირის ქორწინებაში შესვლა, რაც ავტომატურად არ გულისხმობს ბავშვის მიმართ მამინაცვლის ან დედინაცვლის მოვალეობების წარმოშობას. საქართველოს სახალხო დამცველის წინადადების მიხედვით, სტატუსის გაუქმების საფუძველი იქნება არა მშობლის ქორწინება, არამედ ბავშვის სააქტო ჩანაწერში მეორე მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის წარმოშობა.

ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციისათვის, სახალხო დამცველს მართებულად მიაჩნია შეიცვალოს 16—დან 18 წლამდე პირთა ქორწინებაზე თანხმობის წესი და ნებართვის გაცემის შესაძლებლობა მხოლოდ სასამართლოს ქონდეს. მოქმედი რედაქცია საშუალებას აძლევს არასრულწლოვან პირებს მათი ქორწინების რეგისტრაცია მშობლების თანხმობის საფუძველზე მოახდინონ. გამომდინარე იქიდან, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების ინიციატორები ხშირად არასრულწლოვანთა მშობლები არიან და ზოგიერთ შემთხვევაში ქორწინება იძულებითაც კი ხდება, ცვლილება შესაძლებლობას მოგვცემს ასეთი ტიპის შემთხვევების პრევენცია მოვახდინოთ და პატივსადები მიზეზის არსებობის შემთხვევაში სასამართლომ იმსჯელოს არასრულწლოვან პირთა ქორწინების შესაძლებლობაზე.

## 5. გასული თვის მოვლენები

### 5.1. სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშის პრეზენტაცია

**4 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წამომადგენლებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში გააცნო და 900 გვერდიანი დოკუმენტის მოკლე ვერსია წარმოადგინა.

წლიური ანგარიშის პრეზენტაცია დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წამომადგენლების წინაშე

სახალხო დამცველმა სამოქალაქო-პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ფართო სპექტრი და ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მისამართით შემუშავებული ძირითადი რეკომენდაციები მიმოიხილა; ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა სფეროში გამოვლენილ დადებით და უარყოფით ტენდენციებზე.

მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ ბორის იაროშევიჩმა აღნიშნა, რომ ევროკავშირისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი და ღირებულია ანგარიშში მოყვანილი თემები, ამიტომ მხარს უჭერს სახალხო

დამცველის აპარატს და ეს მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება.

პრემიერ—მინისტრის თანაშემწემ ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში სოფო ჯაფარიძემ განაცხადა, რომ პრემიერ—მინისტრის აპარატი მჭიდროდ ითანამშრომლებს სახალხო დამცველთან ადამიანის უფლებათა 2016—2017 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. თანამშრომლობის გაგრძელებასა და სახალხო დამცველის აპარატის ნაყოფიერ მუშაობაზე ისაუბრა ასევე საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ ალესანდრო სავარისმა.

ღონისძიება ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა“ დაფინანსებით გაიმართა. დისკუსიას მოდერაცია პროექტის გუნდის ხელმძღვანელმა თამარ ხიდაშელმა გაუწია.

## 5.2. ანგარიშები კონფლიქტებით დაზარალებულთა და დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

**5 ივნისს** სახალხო დამცველმა სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს „საქართველოში კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობისა“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა“ უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ანგარიშები წარუდგენა.

ღონისძიების გახსნაზე კონფლიქტებით დაზარალებულთა და იძულებით გადაადგილებულთა მდგომარეობა მოკლედ მიმოიხილეს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენელის მოადგილემ საქართველოში ჰაი შელოუმ.

„კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობისა“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა“ უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ანგარიშების პრეზენტაცია

დევნილთა საცხოვრებელი პირობების, მათი განსახლებისა და პრივატიზაციის საკითხებზე; დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ სიახლეებსა და დაბალი ინფორმირებულობის პრობლემებზე სახალხო დამცველის აპარატის დევნილთა საკითხების პროექტის კოორდინატორმა თორნიკე ცაგარეიშვილმა ისაუბრა.

სახალხო დამცველის მთავარმა მრჩეველმა კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში მედეა ტურაშვილმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების უფლებრივ მდგომარეობაზე, მძიმე ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობაზე, გადაადგილების თავისუფლების არსებულ შეზღუდვებზე და ხშირ დაკავებებზე ისაუბრა.

პრეზენტაციების შემდგომ გამართულ დისკუსიაზე ისაუბრეს ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის დახვეწაზე, დევნილთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კონფლიქტით დაზარალებული პირების დაცვის მეტი მექანიზმების აუცილებლობაზე.

ღონისძიება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ დაფინანსებული პროექტის — „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა პრობლემების გადასაჭრელად“ ფარგლებში გაიმართა.

## 5.3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგი სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში

**8 ივნისს** სახალხო დამცველმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების მონიტორინგის შედეგები გაასაჯაროვა. 2015 წლის მაისში პრევენციის ეროვნული მექანიზმის სასჯელაღსრულების N3 (ბათუმის) დაწესებულებაში განმეორებითი, საკონტროლო ვიზიტისას გამოკვეთა, რომ ფაქტობრივად არ შესრულებულა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014 წლის 23-24 ოქტომბერს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა.

მწვავედ დგას არასათანადო მოპყრობის პრევენციის საკითხი, არაპროპორციულად და დაუსაბუთებლად ხდება უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება. შედეგად, დაწესებულებაში

რჩება დაძაბული და კონფლიქტური სიტუაცია, თვითდაზიანების, ძალადობისა და აგრესიის გამოვლენის მაღალი რისკი.

მოუწესრიგებელია სამედიცინო მომსახურება, კვება, ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ხელოვნური ვენტილაციის, ბუნებრივი განათებისა და წყალმომარაგების საკითხები. პრაქტიკულად არ ხორციელდება ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო აქტივობები; პატიმართა ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა აფერხებს პაემნის უფლებით სარგებლობას.

## 5.4. სახალხო დამცველის განცხადება გიორგი ოქროპირიძისთვის ბრალის წაყენების შესახებ

**9 ივნისს** სახალხო დამცველმა მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს მთავარი პროკურატურა ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძისთვის ცრუ დასმენის მუხლით ახალი ბრალის წაყენების გამო.

2014 წლის 23 სექტემბერს, გიორგი ოქროპირიძის ინფორმაციის საფუძველზე, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა მთავარ პროკურორს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №3 და №8 დაწესებულებებში ბრალდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ. საქართველოს პროკურატურამ აღნიშნულ საქმეზე რამდენჯერმე დაიწყო და შეწყვიტა გამოძიება, 8 ივნისს კი გიორგი ოქროპირიძეს ცრუ დასმენის შესახებ ბრალდება წარედგინა, რაც ოთხიდან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სახალხო დამცველმა ხაზგასმით განაცხადა, რომ საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაცია წამების თუ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, არ შეიძლება იყოს პირის წინააღმდეგ მიმართული და გამოყენებული, ან გახდეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი. მსგავსი პრეცედენტის შექმნა შეიცავს რისკს, მოუსპოს პატიმარს გასაჩივრების სურვილი.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის 21—ე მუხლის თანახმად, „არც ერთი ორგანო ან თანამდებობის პირი არ გამოიყენებს რაიმე სანქციას, ან არ გასცემს სანქციის გამოყენების ბრძანებას, ან ნებართვას რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიმართ, მათ მიერ პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ნამდვილი თუ ყალბი ინფორმაციის მიწოდების გამო, ასევე არ შეზღუდავს ასეთ პირს ან ორგანიზაციას რაიმე სხვა წესით.“

## 5.5. სახალხო დამცველის განცხადება შეკრების თავისუფლების დარღვევასთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველმა შეკრების თავისუფლების დარღვევად შეაფასა **12 ივნისის** ინციდენტი, რა დროსაც პოლიციელებმა მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს არ მისცეს თბილისში, ჰეიდარ ალიევის სახელობის სკვერში შეკრების შესაძლებლობა.

ქართველი უფლებადამცველები სლოგანით — „სპორტი ადამიანის უფლებებისათვის“ —ბაქოში ევროპული თამაშების გახსნის დღეს, აზერბაიჯანში ადამიანის უფლებათა ტოტალური დარღვევების, უფლებადამცველების დაკავებისა და დაპატიმრების გაპროტესტებას გეგმავდნენ.

დაგეგმილ დროს პოლიციამ აქციის მონაწილეებს უშუალოდ ჰეიდარ ალიევის სახელობის პარკის ტერიტორიაზე შეკრების უფლება არ მისცა. კანონიერი მოთხოვნის მიუხედავად, პოლიციელებმა შემთხვევის ადგილას მისულ სახალხო დამცველის რწმუნებულს არ განუმარტეს საპოლიციო ღონისძიების სახისა და საფუძვლების შესახებ, რითაც „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები დაარღვიეს.

სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს პროკურატურას, დაუყოვნებლივ დაიწყოს აღნიშნული ფაქტების გამოძიება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმის შესწავლას, თუ რომელი თანამდებობის პირის/თანამდებობის პირების მიერ მოხდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება.

## 5.6. საქართველო-ევროკავშირის ყოველწლიური დიალოგის მერვე შეხვედრა

**15 ივნისს** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის ყოველწლიური დიალოგის მერვე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე საქართველოს სახალხო დამცველმა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მხრივ საქართველოში არსებული ზოგადი ვითარება მიმოიხილა და ამ მიმართულებით 2014 წლის ივნისის შეხვედრის

შემდგომ პერიოდში გატარებულ ღონისძიებებზე, წინგადადგმულ ნაბიჯებსა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა.

ევროკავშირი მიესალმა სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაწეულ სამუშაოს და სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების კუთხით მიღწეულ პროგრესს, წინასწარი დაკავების იზოლატორებში მდგომარეობის გაუმჯობესებას, ოჯახური ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ ძალისხმევას, ასევე, სახალხო დამცველის საქმიანობას კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დაცვის კუთხით.

საქართველოს დელეგაციას თავმჯდომარეობდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძე, ხოლო ევროპულ დელეგაციას - საგარეო ქმედებათა სამსახურის ადამიანის უფლებათა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დეპარტამენტის დირექტორი ელიზაბეტ ტისონი.

## 5.7. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის აქტივობა თბილისში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით

**საქართველოს სახალხო დამცველმა ღრმა მწუხარება გამოთქვა 13—14 ივნისის** ღამეს თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო და მიუსამძიმრა გარდაცვლილთა ოჯახებს. ამასთან, სტიქიისაგან დაზარალებულ მოსახლეობას მიადგა ძლიერი მატერიალური ზარალი. რამდენიმე ოჯახი საერთოდ უსახლკაროდ დარჩა. მძიმე შედეგები მოყვა სტიქიას თბილისის ზოოპარკისთვისაც. რთულ ვითარებაშია ქალაქის ინფრასტრუქტურის ნაწილი.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია დროულად დადგინდეს მომხდარი სტიქიური უბედურების გამომწვევი ზუსტი მიზეზები. სწორედ ამ მიზეზების გათვალისწინებით უნდა მოხდეს დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა, რათა არ იქნეს გამეორებული იგივე შეცდომები, თუ დადასტურდება მათი არსებობა.

მომხდარი ტრაგედია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ასეთი მოვლენების მაქსიმალური პრევენციისაკენ, ხოლო ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს გრძელვადიანი შედეგების გათვალისწინებით.

სახალხო დამცველი სვანიძის ქუჩის დაზარალებულ მაცხოვრებლებს შეხვდა

**16 და 17 ივნისს** სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა **სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების განთავსების 11 ობიექტი მოინახულეს.** არსებული პირობების შესახებ ესაუბრნენ დაზარალებულებს, თბილისის მერიის, ვაკის გამგეობისა და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს. სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, დაზარალებული ოჯახები უზრუნველყოფილნი იყვნენ თავშესაფრით, საკვებითა და ტანსაცმლით.

## 5.8. სახალხო დამცველის აპარატმა სტიქიური შედეგების სალიკვიდაციოდ 50 ათასი ლარი გამოყო

სტიქიური უბედურების შედეგად გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის გამოსწორებისა და დაზარალებულთა დახმარების მიზნით, სახალხო დამცველმა ცვლილებები შეიტანა აპარატის მიერ წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში და **19 ივნისს** წერილობით სთხოვა საქართველოს ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს, სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნება — 50 ათასი ლარის ოდენობით, მიმართოს სახელმწიფო ხაზინაში სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე.

სახალხო დამცველი მიესალმა სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად საზოგადოების კონსოლიდირებულ ძალისხმევას, გამოხატულ სოლიდარობას და იმედი გამოთქვა, რომ ბიზნესს სექტორი საყოველთაოდ აღიარებული და დამკვიდრებული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გათვალისწინებით, კიდევ მეტად გააქტიურებს მცდელობებს სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად.

## 5.9. საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“

**18-19 ივნისს** ბათუმში გაიმართა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებისადმი მიძღვნილი მე-12 საერთაშორისო კონფერენცია - „საქართველოს ევროპული გზა“. კონფერენციას მთავრობის წევრები, დიპლომატიური მისიის, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



შეხვედრა ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის თანათავმჯდომარესთან და ევროპარლამენტის წევრთან საჯად კარიმთან

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველმა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა. სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან ჰერბერტ ზალბერთან ისაუბრეს სახალხო დამცველის მიერ კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ გაწეულ საქმიანობაზე, ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის მნიშვნელობაზე. ასევე აღინიშნა გალის რაიონში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ჯგუფის შეხვედრების ფორმატის განახლების აუცილებლობა.

ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის თანათავმჯდომარესთან და ევროპარლამენტის წევრთან საჯად კარიმთან განიხილეს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ არსებული სიტუაცია და ჯერ კიდევ არსებული გამოწვევები, მათ შორის უმცირესობების უფლებები, ოჯახური ძალადობა, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისა და შრომითი ინსპექციის არ არსებობა.

შეხვედრებზე აღინიშნა, რომ საქართველოს ევროპული გზა შეუქცევადი პროცესია, თუმცა ამ მხრივ მუდმივ რეჟიმში მუშაობაა საჭირო.

## 5.10. სპეციალური ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

**22 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“ სპეციალური ანგარიში წარმოადგინა.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“ სპეციალური ანგარიშის პრეზენტაცია

ღონისძიების გახსნაზე სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა მოკლედ მიმოიხილა ქვეყანაში განვითარებული მოვლენები, ყურადღება გაამახვილა 2014 წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით დაფიქსირებულ დადებით და უარყოფით ტენდენციებზე. აღნიშნა, რომ შშმ პირების უფლებების სრულფასოვანი რეალიზებისთვის ძირითად გამოწვევებად კვლავ რჩება გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის დებულებების სათანადოდ იმპლემენტაციის, ასევე კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების საკითხები.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“ სპეციალური ანგარიშის პრეზენტაცია

სპეციალური ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ირინა ობოლაძემ წარმოადგინა. მან ისაუბრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, ქალებისა და ეთნიკური უმ-

ცირესობის წარმომადგენლებისთვის არსებულ ბარიერებზე, პრობლემებსა და გამოწვევებზე. განიხილა არსებული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო უწყებებისადმი გაცემული რეკომენდაციები.

სახალხო დამცველის პირველი მოადგილის პაატა ბელთაძის მოდერაციით გამართულ დისკუსიაზე საერთაშორისო ორგანიზაციათა და თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე, შშმ პირებმა და მათმა წარმომადგენლებმა განსაკუთრებით მწვავე საკითხებზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკა და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, რამაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს შშმ პირთა საზოგადოებაში ინკლუზიისთვის.

## 5.11. სახალხო დამცველისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი შეხვედრა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის

**23 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (UN Women) გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხებისადმი მიძღვნილი ერთობლივი შეხვედრა გამართეს, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში ერიკა კვაპილოვა უძღვებოდა.

შეხვედრა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის

შეხვედრაზე საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა მოკლედ მიმოიხილა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ სპეციალური ანგარიში, მასში ასახული ძირითადი მიმართულებები და ასპექტები, შესაბამისი უწყებებისადმი გაცემული რეკომენდაციები.

სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა ეკა სხილაძემ „სასჯელაღსრულების №5 ქალთა დაწესებულების მონიტორინგის შედეგების“ შესახებ სპეციალური ანგარიში წარმოადგინა, რომელიც ქალ პატიმართა საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით მომზადებულ რეკომენდაციებს ასახავს.

გაეროს ქალათა ორგანიზაციის მიწვეულმა კონსულტანტმა სახალხო დამცველის აპარატში მერი მაღლაფერიძემ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ისაუბრა. წარმოადგინა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრისა და ცხელი ხაზის მონიტორინგის, 2014 წელს მომხდარი ქალთა მკვლელობების საქმეთა შესწავლის, შემაკავებელი და დამცავი ორდერების განხორციელების მონიტორინგის შედეგები.

## 5.12. სახალხო დამცველის შეხვედრა „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ დირექტორთან

**23 ივნისს** სახალხო დამცველი „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ დირექტორს ირაკლი შიხიაშვილს შეხვდა და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებთან დაკავშირებული პრობლემები, მათი უფლებრივი მდგომარეობა და ის ხარვეზები განიხილეს, რომლებიც დროულ აღმოფხვრას საჭიროებს. ისაუბრეს ვეტერანთა სოციალური მდგომარეობისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სუბსიდიებსა თუ სხვა შეღავათებზე; ვეტერანებისათვის გამოყოფილ ბიუჯეტსა და სოციალურ პაკეტებზე; აღინიშნა ვეტერანთა ჰოსპიტალში არსებული არადამაკმაყოფილებელი პირობები.

## 5.13. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშის პრეზენტაცია

**26 ივნისს** წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. შეხვედრის გახსნისას უჩა ნანუაშვილმა კიდევ ერთხელ გამოთქვა თავისი პოზიცია, შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების გამოძიებას უზრუნველყოფს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშების პრეზენტაცია

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ ბორის იაროშევიჩმა ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შეტანილ წვლილზე ისაუბრა. ასევე აღნიშნა, რომ სწორედ ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირება არის ერთ—ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი, რომელსაც ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს. ამ მიმართულებით კი, საქართველოსთან მიმდინარე დიალოგის ფორმატში, ევროკავშირის უმთავრესი რეკომენდაცია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნაა.

სახალხო დამცველის მოადგილემ ნათია კაციტაძემ, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში, ისაუბრა დახურული დაწესებულებების მონიტორინგზე, მონიტორინგის შედეგების ამსახველ ანგარიშებზე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაზე, ტრენინგებზე, შეხვედრებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე, ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და სამომავლო გეგმებზე. ასევე, წარმოადგინა სახალხო დამცველის ვებ—გვერდზე პრევენციის ეროვნული მექანიზმის პროაქტიულად განახლებადი ნაწილი და **ყოველკვარტალური საინფორმაციო ბიულეტენის პირველი ნომერი**.

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ მიმოიხილა წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიები, წესრიგი და უსაფრთხოება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, პატიმრობის პირობები, პენიტენციური ჯანდაცვა, პატიმართა კონტაქტი გარე სამყაროსთან, რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია, მდგომარეობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში, მიგრანტთა დაცვა არასათანადო მოპყრობისგან, თავისუფლება აღკვეთილ შშმ პირთა მდგომარეობა, ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. ხაზი გაუსვა იმ პრობლემებს და გამოწვევებს, რომლებიც მიუხედავად არაერთი პოზიტიური ცვლილებისა, კვლავაც რჩება დახურული ტიპის დაწესებულებებში.

## 6. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა

### 6.1. საინფორმაციო შეხვედრა სსიპ აფხაზეთის N22 საჯარო სკოლის პედაგოგებთან

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენლებმა მარიამ ჯანიაშვილმა და მარიამ ბოჭორიშვილმა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ლიკანში მდებარე სსიპ აფხაზეთის N22 საჯარო სკოლაში საქართველოში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით სკოლის პედაგოგებთან და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე მოსწავლის უფლებადაცვით სფეროში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები განიხილეს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა პედაგოგებს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითადი პრინციპები და გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის (CRC) რეკომენდაციები გააცნეს; გაიმართა დისკუსია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა შორის ძალადობისა და რთული ქცევის პრევენციის/მართვის, მათი ფსიქოლოგიური დახმარების, განათლების უფლების ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე.

ვიზიტის ფარგლებში სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა განახორციელეს მონიტორინგი დაბა ლიკანის საბაზო სკოლაში, სსიპ აფხაზეთის N22 დაწყებით სკოლაში და ახალდაბის საჯარო სკოლაში.

### 6.2. ოსური ფორუმის შეკრება

**3 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა ოსური ფორუმის წევრებთან მორიგი შეხვედრა გამართა. სამუშაო შეხვედრის მიზანი სამომავლო გეგმების დასახვა იყო. კონკრეტულად, საუბარი შეეხო ოსური ფორუმის ფარგლებში შესაძლო პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებას, ოსური ორგანიზაციების გააქტიურებას კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვასა და კონფლიქტის ტრანსფორმაციაში.

სახალხო დამცველის ინიციატივით შექმნილი ოსური ფორუმი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფია, რომელიც კონსულტირებას უწევს სახალხო დამცველს ეთნიკურად ოსი მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით.

## 6.3. სიმპოზიუმი თავისუფლება აღკვეთილი/შეზღუდული ლგბტ პირების უფლებების დაცვის საკითხებზე

წამების პრევენციის ასოციაციის სიმპოზიუმი ჟენევაში

**3 და 4 ივნისს,** შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, წამების პრევენციის ასოციაციის (APT) ორგანიზებით თავისუფლება აღკვეთილი/შეზღუდული ლგბტ პირების უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემატური საკითხებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი გაიმართა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ პრევენციის ეროვნული მექანიზმების, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის (SPT), წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) წევრები და სხვა საერთაშორისო ექსპერტები. სიმპოზიუმზე თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში ლგბტ პირთა ძალადობისაგან და დისკრიმინაციისაგან დაცვის კუთხით პრევენციის ეროვნული მექანიზმების როლზე ისაუბრეს.

## 6.4. წამების საწინააღმდეგო ინიციატივის ფარგლებში მოკლე ვიდეო მიმართვა მომზადდა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ხუან მენდესის ინიციატივით მიმდინარეობს წამების საწინააღმდეგო კამპანიის ფარგლებში მოკლე ვიდეო მიმართვა მომზადდა. კამპანია წამების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას ისახავს მიზნად. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო მოკლე ვიდეო მიმართვაში, სადაც 5 ქვეყნის (საქართველოს, ნორვეგიის, ყირგიზეთის, სენეგალისა და პარაგვაის) პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლები საუბრობენ წამების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობაზე.

## 6.5. ევროპის განვითარების დღეები ბრიუსელში

**3—4 ივნისს** ბელგიის ქალაქ ბრიუსელში ევროპის კომისიის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტისა და რეგიონული ქსელების ორგანიზებით ევროპის განვითარების დღეები გაიმართა, რომელიც ევროპის კომისიის ხელმძღვანელმა ჟან—კლოდ იუნკერმა გახსნა.

ჟან-კლოდ იუნკერმა ევროპის განვითარების დღეები გახსნა

საქართველოს სახალხო დამცველის სახელით ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სახალხო დამცველის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსმა ნიკო თათულაშვილმა.

ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საერთაშორისო ურთიერთობების და უშიშროების საკითხებში ფედერიკა მოგერინი პირადად შეხვდა მსოფლიოს 106 ქვეყნის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლებს და თავისი მოსაზრებები გაუზიარა ამ ინსტიტუტების მნიშვნელოვან როლზე ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების გაძლიერების და მდგრადი განვითარების პროცესში.

## 6.6. საერთაშორისო კონფერენცია

**8—9 ივნისს** თბილისში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 33—ე მუხლის იმპლემენტაციის საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში შვედეთის, უკრაინის, მოლდოვას, ბელორუსიის, გერმანიის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ.

სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსმა ირინე ობოლაძემ კონფერენციის მონაწილეებს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის პროექტი წარუდგინა.

## 6.7. ტრენერთა ტრენინგი

**10—13 ივნისს** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსმა ირინე ობოლაძემ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ტრენერთა ტრენინგში „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სამედიცინო ეთიკის საკითხები“.

ტრენინგი ფსიქიატრიულ დაწესებულებათა, სახალხო დამცველის აპარატის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, შინაგან საქმეთა სამინისტროების თანამშრომლებისთვის ჩატარდა.

ევროპის საბჭოს მოწვეულმა ტრენერებმა მიმოიხილეს სამედიცინო ეთიკის ძირითადი სტანდარტები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული სისტემები, გაეროს კონვენცია შშმ პირთა უფლებების შესახებ მათ შორის, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მიმართ მიდგომის ახალი პარადიგმა ადამიანის უფლებების კუთხით, სათემო ფსიქიატრიის პრინციპები, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მოთხოვნები და სხვა საკითხები.

## 6.8. ვიზიტი პოლონეთში

**14—19 ივნისს** სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ირინე ობოლაძე საქართველო—პოლონეთის ერთობლივი პროექტის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების სისტემის იურიდიული, ფინანსური და ადმინისტრაციული საფუძვლების შექმნა“ ფარგლებში, სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა პოლონეთის რესპუბლიკაში.

ვიზიტის დროს შეხვედრები გაიმართა პოლონეთის შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების ბიუროში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდში, პოლონეთის ეროვნული ტელევიზიისა და რადიოს საბჭოში, ასევე პოლონეთის საზოგადოებრივ ტელევიზიასა და რადიოში, მოინახულეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ინტეგრაციის“ ოფისი და ინკლუზიურ სკოლა.

განიხილეს სახელმწიფო პოლიტიკა შშმ პირთა მიმართ, მათ შორის პროფესიული აქტივობისა თუ პროფესიული რეაბილიტაციის საკითხებში; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება აუტიზმის მქონე პირთა უფლებებზე და სხვა საინტერესო თემები.

## 6.9. სამუშაო ვიზიტი „ხანდაზმულთა უფლებებისა და გრძელვადიანი ზრუნვის“ მიზნით

**16-17 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ რუსუდან კოხოძემ მონაწილეობა მიიღო ბელგიის ქალაქ ბრიუსელში, ევროპული კომისიის მხარდაჭერით გამართულ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ქსელის (ENNHRI) პროექტის „ხანდაზმულთა უფლებები და გრძელვადიანი ზრუნვა“, მრჩეველთა ჯგუფის შეხვედრაში.

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ქსელის მიზანია ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება გრძელვადიანი ზრუნვის, განსაკუთრებით კი, რეზიდენტულ დაწესებულებებში.

მრჩეველთა ჯგუფის შეხვედრაში მონაწილე 26 ქვეყნის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლებმა განიხილეს პროექტის ფარგლებში მომზადებული დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს ხანდაზმულთა რეზიდენტული დაწესებულებების მონიტორინგის ერთიანი მეთოდოლოგია და პროექტის საპილოტე ფაზაში განხორციელდეს ასეთი დაწესებულებების მონიტორინგი. დაიგეგმა სამომავლო აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს ხანდაზმულთა უფლებების დაცვის და მათზე გრძელვადიანი ზრუნვის აუცილებლობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

## 6.10. პრევენციული მანდატის განხორციელების შესახებ სამუშაო შეხვედრა ლატვიაში

**17-19 ივნისს** ლატვიის ქალაქ რიგაში, ლატვიის ომბუდსმენის, წამების პრევენციის ასოციაციისა (APT) და საერთაშორისო ომბუდსმენთა ინსტიტუტის (IOI) ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა პრევენციული მანდატის განხორციელების საკითხებზე. შეხვედრაში რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, პრევენციის ეროვნული მექანიზმების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოს პრევენცი-

ის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებმა ტრენინგის მონაწილეებს გაუზიარეს ინფორმაცია საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობის სპეციფიკისა და პრევენციული მანდატის გაძლიერების მიზნით განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

### 6.11. სამუშაო შეხვედრა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაციის შესახებ

**22-23 ივნისს** ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) დახმარებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამართა სამუშაო შეხვედრა საქართველოში ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაციის შესახებ.

ღონისძიებაზე განიხილეს საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის მექანიზმის საქმიანობა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზები, პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია, განსხვავება დისკრიმინაციასა და შევიწროებას, ასევე დისკრიმინაციასა და სიძულვილის ენას შორის, დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, საგანმანათლებლო ინსტიტუტებში რელიგიური ნეიტრალიტეტი (მათ შორის მასწავლებლების ვალდებულებები, სკოლაში ეთიკის ნორმები, პროზელიტიზმი, ინდოქტრინაცია).

შეხვედრას უძღვებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები: ნიდერლანდების ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის წარმომადგენელი შილა ვან დერ ბასი, საბერძნეთის ომბუდსმენის ინსტიტუტის უფროსი გამომძიებელი მარია კარაგეორგუ და ტურინის უნივერსიტეტის ტრენინგების უფროსი სპეციალისტი ივანა როანა.

შეხვედრას ესწრებოდნენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, სასამართლო ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

## 7. მნიშვნელოვანი თარიღები

### 7.1. სახალხო დამცველის განცხადება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

**პირველი ივნისი** — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე სახალხო დამცველმა საქართველოში მცხოვრებ ყველა არასრულწლოვანს მიულოცა და ღირსეულ, მათი განვითარებისთვის ადექვატურ, ძალადობის, სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან თავისუფალ გარემოში ცხოვრება უსურვა.

„ჩვენს ქვეყანაში კვლავ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არასაკმარისი რეაგირება, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მატება, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობისა და არასრულწლოვანთა თვითმკვლელობების საგანგაშოდ მაღალი მაჩვენებელი, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთა უფლებების დაცვა, ჯანმრთელობის დაცვის უფლების ხელმისაწვდომობა, მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებ ბავშვთა, მათ შორის, შშმ არასრულწლოვანთა საჭიროებების უზრუნველყოფა, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის, მათი უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სახელმწიფო სერვისების სისტემური და მასშტაბური განხორციელება. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა ბავშვის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე პასუხისმგებელ ორგანოებს, განუხრელად შეასრულონ საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ინსტრუმენტებით ნაკისრი ვალდებულებები და თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას უპირატესი ყურადღება მიმართონ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფისკენ“, — განაცხადა სახალხო დამცველმა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენლებმა მარიამ ბოჭორიშვილმა და მარიამ ჯანიაშვილმა დემოკრატიული ჩართულობის რუსთავის ტერიტორიულ ცენტრში საინფორმაციო შეხვედრა გამართეს საქართველოში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. შეხვედრას ბავშვზე ზრუნვის განმახორციელებელი პირები, საჯარო სკოლების პედაგოგები და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ისაუბრეს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მონიტორინგის შედეგებზე ბავშვთა მიმართ ძალადობაზე, სიღარიბესა და ცხოვრების არასათანადო დონის შესახებ; განიხილეს ზოგადი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის უფლების ხელმისაწვდომობა, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არასრულწლოვანთა მდგომარეობა.

სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის ოფისის წარომადგენელი მადონა ბასილაძე ააიპ ასოციაცია საქართველოს SOS ბავშვთა სოფელის **ქუთაისის მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებს შეხვდა,** ესაუბრა მათ ბავშვის უფლებებზე და საჩუქრები გადასცა.

SOS ბავშვთა სოფელი, ქუთაისის მცირე საოჯახო ტიპის სახლი

მადონა ბასილაძემ ასევე შშშ ბავშვთა სოფელი ამბროლაურის მცირე საოჯახო ტიპის სახლი მოინახულა და აღსაზრდელებს ბავშვის უფლებათა კონვენციის მიღებაზე, მის მნიშვნელობაზე, სიცოცხლის, განვითარების, დაცვისა და მონაწილეობის უფლებებზე ესაუბრა. ასევე, მიაწოდა ინფორმაცია სახალხო დამცველის ინსტიტუტზე, როგორც ბავშვის უფლებების დაცვის მექანიზმზე. ტრეინინგის დროს ბავშვები მათი ასაკის, ინტერესისა და სურვილის გათვალისწინებით ჩაერთნენ სხვადასხვა აქტივობებში.

SOS ბავშვთა სოფელი, ამბროლაურის მცირე საოჯახო ტიპის სახლი

ბავშვებმა საჩუქრად სახალხო დამცველის საინფორმაციო ბუკლეტები და სამოქალაქო განათლების ლექსიკონები მიიღეს.

### 7.2. სახალხო დამცველის განცხადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით

**14 ივნისს** საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე აღინიშნება, რომლის დაწესება 1995 წლის 14 ივნისს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას უკავშირდება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, როგორც გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის ეროვნული მექანიზმი, აუცილებლად მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ გააცნობიეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მნიშვნელობა და სათანადო ძალისხმევა მიმართოს კონვენციით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისაკენ. ამავდროულად, უნდა დაჩქარდეს კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების პროცესი, რაც შექმნის დამატებით ბერკეტს ამ პირთა უფლებების სათანადოდ რეალიზებისათვის.

### 7.3. სახალხო დამცველის მილოცვა რამადანის თვესთან დაკავშირებით

**18 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოში მცხოვრები მუსლიმური აღმსარებლობის ადამიანებს რამადანის თვის დაწყება მიულოცა და სიხარული, ბედნიერება და კეთილდღეობა უსურვა.

ეს პერიოდი მუსლიმთა ცხოვრებაში განსაკუთრებული მარხვითა და ლოცვით გამოირჩევა. სულიერი შრომით მორწმუნენი სრულყოფენ საკუთარ თავსა და ადამიანებს შორის ურთიერთობას. 30 დღის შემდეგ მარხვა სამდღიანი დღესასწაულით სრულდება.

## 8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

### 8.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ორი საეტაპო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის და სომხეთის წინააღმდეგ

**16 ივნისს** ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მთიანი ყარაბაღის 27 წლიანი კონფლიქტის შედეგად აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების მილიონზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ორი გადაწყვეტილება მიიღო.

საქმეში **სარქისიანი აზერბაიჯანის წინააღმდეგ,** ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აზერბაიჯანის მიერ სომეხი ლტოლვილის

საკუთრების უფლების დარღვევა დაადგინა. აღნიშნულ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს ერთსა და იმავე მდგომარეობაში მყოფი ათასობით ადამიანისთვის, რომლებმაც შეიძლება კომპენსაცია ან სხვა სახის ანაზღაურება მიიღონ. დღეისათვის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დროს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ შეტანილი ათასზე მეტი მიმდინარე ინდივიდუალური საჩივარია. ამასთან, უნდა აღნიშნოს, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე, რომელმაც ომისა და ოკუპაციის შედეგად თავისი ტერიტორიის ნაწილზე კონტროლი დაკარგა. თუმცა, ამავე დროს, სასამართლომ მიუთითა, რომ სოფელზე, საიდანაც განმცხადებელი იძულებული გახდა ოჯახიანად გაქცეულიყო, აზერბაიჯანი ახორციელებდა თავის იურისდიქციას, მიუხედავად იმისა, რომ ის სადავო ტერიტორიაზე მდებარეობდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ ოჯახის სოფელში დაბრუნების შესაძლებლობის არქონით, დაკარგული მიწისა და საკუთრების კომპენსაციის არგაცემით დაირღვა როგორც მათი საკუთრების უფლება, ასევე, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. გარდა ამისა, სასამართლომ დარღვევად მიიჩნია ოჯახის მიერ თავიანთი ნათესავების საფლავების მონახულების შესაძლებლობის არქონა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეფექტური მექანიზმის შექმნა, რომელიც სარქისიანების ოჯახს თავიანთი საკუთრების უფლების აღდგენის შესაძლებლობას მისცემდა. ამასთან, არ არსებობდა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები.

კერძოდ, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მაშინ როდესაც სოფელში სამოქალაქო პირების შესვლაზე უარი გამართლებული იყო უსაფრთხოების მიზნით, საკუთრებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის პირობებში სახელმწიფო ვალდებული იყო მიეღო ალტერნატიული ზომები სარქისიანის უფლებების დასაცავად. სასამართლოს აზრით, სამშვიდობო მოლაპარაკებების მიმდინარეობის ფაქტი არ ათავისუფლებს მთავრობას სხვა ზომების მიღების ვალდებულებისგან. აღნიშნულში იგულისხმება საკუთრებასთან დაკავშირებული დავების მექანიზმის შექმნა, რაც განმცხადებელს და მის მდგომარეობაში მყოფ პირებს საკუთრების აღდგენის ან კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას მისცემდა.

საგულისხმოა, რომ სასამართლომ მსგავსი მსჯელობა განავითარა პარალელურ საქმეში — **ჩირაგოვი და სხვები სომხეთის წინააღმდეგ.** საქმეზე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დროს იძულებით გადაადგილებულ აზერბაიჯანელ ლტოლვილებს ეხება. სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპენსაციით უზრუნველყოფის გარეშე, არ არსებობდა განმცხადებლებისთვის მათ საკუთრებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის დასაბუთებული საფუძველი. სომხეთი ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა მთიან ყარაბაღზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, ამგვარად ჰქონდა იურისდიქცია ლაჩინის რაიონზე, საიდანაც განმცხადებლები იყვნენ იძულებით გადაადგილებული.

დაბოლოს, ორივე საქმის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა კონვენციის 41—ე მუხლის (სამართლიანი დაკმაყოფილება) გამოყენების საკითხი არ არის მომზადებული, რომ მასზე გადაწყვეტილება იქნეს გამოტანილი. შესაბამისად, სასამართლომ ორივე საქმეზე, სამომავლოდ გადადო ამ საკითხის განხილვა.

## 8.2. საქართველო „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიში

**23 ივნისს** დამოუკიდებელმა ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსმა“, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების კუთხით არსებული ვითარებას სწავლობს, გამოაქვეყნა ანგარიში — „სახელმწიფოები გარდამავალ ეპოქაში“.

შეფასების სისტემაში, სადაც საუკეთესო შეფასება 1 ქულაა და ყველაზე ცუდი — 7, ანგარიშის თანახმად, საქართველოში არსებული მმართველობა კვლავაც კლასიფიცირდება, როგორც გარდამავალი მმართველობა ან ჰიბრიდული რეჟიმი და დემოკრატიის მდგომარეობა 2014 წელს 4,68 ქულით არის შეფასებული. * 2013 წელს საქართველოს 4,75 ქულა ჰქონდა.

ანგარიშის ავტორი წერს, რომ უკრაინასთან ერთად, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ევრაზიის არეალში, სადაც საარჩევნო პროცესის რეიტინგი გაუმჯობესდა.

სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლება შეფასებულია 3.75 ქულით. „საქართველოში შრომითი ორგანიზაციები უკიდურესად სუსტია და მშრომელთა უფლებები არ არის სათანადოდ დაცული. ბოლო დრომდე, შრომის კოდექსი მოდიოდა წინააღმდეგობაში საქართველოს მიერ საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრ ვალდებულე-

ბებთან. თუმცა, 2013 წლის ივნისში ახალი შრომის კოდექსი მიიღეს, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მინიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებს“, ნათქვამია ანგარიშში.

## 9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

### 9.1. საკადრო ცვლილებები

**ივნისში** სახალხო დამცველის აპარატში ახალმა თანამშრომლებმა დაიწყეს მუშაობა. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა ეკა ხუციშვილმა დაიკავა; საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ვებ—ადმინისტრატორად თამარ თევზაძე დაინიშნა; ადმინისტრაციულ და ფინანსურ დეპარტამენტში ბუღალტერი ნინო გაგნიძე.

სპეციალისტის თანამდებობაზე ანალიტიკური დეპარტამენტში რატი ბახტაძე შეირჩა, ხოლო საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტში გვანცა კვანტალიანი.

### 9.2. მომართვიანობის სტატისტიკა

ივნისის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 819 განცხადება.

დასაშვებობის გავლის შემდეგ 658 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი - 2
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 43
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი - 323
- რეგიონული სამმართველო - 205
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი - 22
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი - 25
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 18
- ანალიტიკური დეპარტამენტი - 4
- თანასწორობის დეპარტამენტი - 15
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი - 1




## 10. კონტაქტი

**თბილისი:**
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

**ბათუმი:**
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

**ზუგდიდი:**
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

**ახალქალაქი:**
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

**თელავი:**
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

**ქუთაისი:**
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

**გორი:**
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

**მარნეული:**
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე